განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„საჯარო მმართველობის და პოლიტიკის „ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

12 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი

13.06.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა Public Administratrion and Politics
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საჯარო მმართველობის ბაკალავრი Bachelor of Public Administratrion
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413. მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413. Management and Administration
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 13 დეკემბრის №787 გადაწყვეტილება

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მაჭარაშვილი, ა (ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ხერხეულიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, სტუდენტ-ექსპერტი, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იურიდიულ ფაკულტეტზე, ითვალისწინებს კურსდამთავრებულისთვის საჯარო მმართველობის ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭებას.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 13 დეკემბერის N787 - გადაწყვეტილებით და მას შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურება 2022 წლის პირველ ივლისს.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „შექმნილია სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მაღალი სოციალური/პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე მოხელეთა მომზადებისთვის, რომლებსაც შესწევთ უნარი იმოქმედონ ძირითადი ფასეულობის - ადამიანის და მისი უფლებების დაცვის, სოციალური, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით. პროგრამა მოწოდებულია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ფართო და თანამედროვე ცოდნა საჯარო მმართველობის სფეროში, მისცეს საშუალება თავად განსაზღვრონ საკუთარი ინტერესი და დაგეგმონ შესაბამისი სასწავლო კურსების სწავლა. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ინტეგრირებულია პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც ერთიან გამჭოლ სისტემას ქმნის - ხელს უწყობს, ერთი მხრივ, თეორიული

ცოდნის გაღრმავებას/განმტკიცებას და, მეორე მხრივ, მიღებული ცოდნის/გამოცდილების ეფექტიან ტრანსფერს პრაქტიკაში“.

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 11 აპრილს, დისტანციურ რეჟიმში შეიკრიბა და 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა და გამოიკვეთა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 5 აპრილს ინტერვიუირების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ოთხი წევრის (ნანა მაჭარაშვილი, ნინო ფარსადანიშვილი, ნინო პატარაია, ნოდარ ხერხეულიძე და ლიანა ზაგაშვილი) შემადგენლობით ამა წლის 5 აპრილს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი. ვიზიტი დისტანციურ რეჟიმში, zoom პლატფორმის მეშვეობით განხორციელდა. სამუშაო პროცესის ადმინისტრირება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. ვიზიტის პირობებში კომისიამ შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იქნა განახლებული დოკუმენტაცია (საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია, ხარისხის მართვის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები და მონაცემები (პროგრამაში ჩართული იმ აკადემიური პერსონალის შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებსა და უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების გრანტებში, აკადემიური პერსონალის დატვირთვა, განახლებული მემორანდუმები, ისევე როგორც ინფორმაცია უშუალოდ წარმოდგენილ პროგრამის გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების შესახებ და სხვა). უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს წარმოადგინა.

დისტანციურ რეჟიმში კომისიამ მუშაობა 10 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 18.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის წამომადგენლებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კონკრეტულად კი ელექტრონული

რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა) და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის ამოღება.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნების გადახედვა და გამართვა სულ მცირე ლოგიკური დაჯგუფების და ფორმულირების თვალსაზრისით, იმგვარად რომ მიზნებს შორის არ იყოს კვეთა და წარმოდგენილი დეტალიზაცია არ გაცდეს პროგრამული მიზნის აღწერის ფარგლებს;
2. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია და დღეს არსებული ვარიაცია Public Administration and Politics შეიცვალოს Public Administration and Policy-ის სახით, ვინაიდან როგორც პროგრამის კონცეპტუალური შესაბამისი ინტერპრეტაციისთვის, ისე ინტერნაციონალიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდებოდეს შესაბამის აუდიტორიასთან ადეკვატური კომუნიკაცია;
3. რეკომენდირებულია პროგრამის პირველი მიზნიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ისეთი საჯარო მოხელეების მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ საჯარო მმართველობის ძირითადი ცნებები/თეორიები, გაიზარდოს უშუალოდ საჯარო მმართველობის დარგობრივი ცოდნის, შესაბამისი კონცეპტუალური აღქმისა და თეორიული ცოდნის ათვისების შესაძლებლობა. ეს ერთი მხრივ მიიღწევა უშუალდ საჯარო მართველობის თეორიტიკოსთა მეტად წარმოდგენით, მეორე მხრივ კი საჯარო მმართველობის რელევანტური საგნების რაოდენობის გაზრდით ისეთი მიმართულებების დასაფარად, როგორიცაა საჯარო სერვისები, ელექტრონული მმართველობა, ანგარიშვალდებულება და ა.შ.;
4. პროგრამის 2.1. შედეგიდან გამომდინარე, რაც რთული ან გაუთვალისწინებელი საჯარო მმართველობითი, მათ შორის, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ხასიათის პრობლემების/შემთხვევების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მათი გადაწყვეტისთვის შესაბამისი მეთოდების შერჩევა/გამოყენებას გულისხმობს, რეკომენდებულია პროგრამას სავალდებულო საგნის სახით დაემატოს საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსი.
5. რეკომენდირებულია, რომ შეფასების კომპონენტები კურსების შემთხვევაში ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ასევე, რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს იმ ზოგადი მოთხოვნების მიღმა, რომელიც შეფასების გრადაციებში ჩანს.
6. რეკომენდირებულია, განხორციელდეს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში, მოხდეს მეტი სტუდენტის დაფინანსება საერთაშორისო პროექტებში;

7. რეკომენდირებულია, რომ პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა, ისევე როგორც გაუმჯობესდეს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებლი პერსონალის შემადგენლობა;
8. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის წამახალისებელ რამდენიმე ფინანსურ ინსტრუმენტს, საჯარო მმართველობის მიმართულებით სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლების გასაზრდელად რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართვის მიზნით, ასევე მეტად სისტემატიზირებულად მართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის პროცესი;
9. რეკომენდირებულია, პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებული იყოს, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მაჩვენებელი, დადეგნილი შესაბამისი ზღვარით. დადებითი მაჩვენებლის გამო სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მარტივად მისაღწევად და დადგეს საკითხის დამატებითი კვლევის საჭიროება.

რჩევები:

1. გრძელვადიან პერსპექტივაში, პროგრამის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება, რომ მიზნების განსაზღვრა და ფორმულირება დაეფუძნოს მეთოდოლოგიურად გამართულ კვლევებს, რაც ასევე აისახება კვლევის ანგარიშების ხარისხსა თუ პროგრამის მიზნების უფრო ნათლად განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში.
2. სასურველია, რომ პროგრამის სამიზნე ჯგუფი მხოლოდ საჯარო მოხელეებით არ იფარგლებოდეს და სამიზნე ჯგუფის ჩამონათვალი გაიზარდოს პოტენციური დასაქმებისა და საჯარო მმართველობის საბაკალავრო საფეხურისთვის რელევანტური ცოდნისა და კომპეტენციების მქონე შესაბამის პირთა ინტერესების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე.
3. პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შედეგების განსაზღვრა და ფორმულირება დაეფუძნოს მეთოდოლოგიურად გამართულ კვლევებს, რაც დადებითად აისახება შედეგების ნათლად განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში;
4. სასურველია, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულში წარმოდგენილი საჯარო მმართველობის რელევანტური კურსების გადაჯგუფება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდულში. შესაბამისად, ის საგნები, რომელიც მისანიჭებელი ხარისხის რელევნტური ნაკლებადაა, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულშია სასურველი, რომ ინტეგრირდეს;
5. სასურველია, რომ სოციალური აქტივობის განხორციელების ეტაპების მეტად ფორმალიზება და შესაბამისი მართვა.

6. 4.1. ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციის - პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა - დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის პოტენციალი მნიშვნელოვნად ამაღლდება და ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) მეტად შესაბამისი გახდება.
7. სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან რეაგირების ანგარიშში.
8. სასურველია, პროგრამა შეფასდეს უცხოელი შემფასებლის მიერ.
9. სასურველია, გაძლიერდეს ინფორმირებულობა და მნიშვნელობა სტუდენტებთან საერთაშორისო პროექტებში ჩართვის მნიშვნელობასა და აუცილებლობასთან დაკავშირებით;
10. სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების უფრო მეტად იდენტიფიცირება. შეფასებები უნდა იყოს უფრო დეტალური და სიღრმისეული.
11. სასურველია, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის საბოლოო შეფასებები ებმოდეს გარკვეული ტიპის წამახალისებელ აქტივობებს, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის პერსონალის მოტივაციას
12. სასურველია, თუკი აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში ჩართული იქნება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული შესაბამისი კითხვარების გამოყენებით;
13. საჯარო მმართველობის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა სასურველია, რომ მეტად შესაბამისობაში მოვიდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებთან, კერძოდ, საჯარო მმართველობის თანამედროვე სტანდარტებთან, მინიმუმ SIGMA-ს ინსტრუმენტებთან მიმართებით. ასევე, სასურველია, რომ პროგრამა და დარგის შესაბამისი სასწავლო კურსები მეტად ითვალისწინებდეს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. შესაბამისად, პროგრამა საჭიროებს გაუმჯობესებას უახლესი ლიტერატურისა და საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური სიახლეების, მათ შორის საჯარო მმართველობის SIGMA-ს სტანდარტების, მასში ინტეგრირების დონეზე;

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით (დაწესებულების წერილის ცენტრში რეგისტრაციის - No608434, 08/06/2022). გავეცანით, რა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხებს, დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციის #3 და #7-ის გაერთიანება და რჩევის სახით (დასკვნის # 13 რჩევა) გადატანა მოხდა. ამავედროულად, დასკვნის პროექტში 11-ე რეკომენდაციის სახით ფიქსირებული პოზიციის რჩევის სახით ტრანსფორმირება მოხდა (დასკვნის რჩევა #11). გასათვალისწინებელია, რომ ამ უკანასკნელი ცვლილებიდან გამომდინარე მეხუთე სტანდართთან მიმართებაში შეიცვალა საბოლოო გადაწყვეტილებაც და ამ სტანდარტში უნივერსიტეტმა სრული შესაბამისობა მიიღო.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება საჯარო მმართველობის სკოლის ფარგლებში. პროგრამით განსაზღვრულია 5 ძირითადი მიზანი, რომლებიც დეტალურად არის ახსნილი და შემდეგნაირად არის ფორმულირებული: 1. მოამზადოს ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებსაც ეცოდინებათ საჯარო მმართველობის ძირითადი ცნებები/თეორიები, ეროვნული მმართველობითი სისტემის თავისებურებები, ინსტიტუტები, მექანიზმები, შეძლებენ დარგობრივი პრობლემების გააზრებას, ანალიზს, დასკვნების გაკეთებას და შესაბამისი დოკუმენტების/კვლევითი პროექტების შემუშავებას წინასწარი მითითებების საფუძველზე. 2. შესძინოს სტუდენტებს ცოდნა სახელმწიფოს მართვის ფუნდამენტური პრინციპების, თანამედროვე მეთოდების, სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების შესახებ, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას, ფუძემდებლური ეთიკური ღირებულებების გააზრებას, ჩამოუყალიბებს თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარს, შესაბამისად, მოამზადებს, მაღალკვალიფიკაციურ კადრებს სახელმწიფო ორგანიზაციებსა და უწყებებში, საჯარო ან/და საჯარო უფლებამილებით აღჭურვილ დაწესებულებებში დასაქმებისთვის. 3. შექმნას ეფექტიანი შემეცნებითი ინფორმაციული და მეთოდოლოგიური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაიაზრონ არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული საერთაშორისო შრომის ბაზრის კონიუნქტურა - შეისწავლიან ევროპული ინტეგრაციის ძირითად მიმართულებები და საერთაშორისო სამართლის საკითხები, დაეუფლონ პროფესიულ ინგლისურს, შესაძლებლობა ექნებათ გაიფართოონ ცოდნა გლობალური მმართველობისა და, ზოგადად, საერთაშორისო გამოწვევების შესახებ, მონაწილეობა მიიღონ

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში.

4. გაუფართოოს სტუდენტებს ზოგადინტელექტუალური რესურსი უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი სკოლის მისიით/სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად - შექმნას სასწავლო-მეთოდოგიური პლასტი, რომლის საფუძველზეც სტუდენტები შეძლებენ ეროვნული და მსოფლიოს კულტურულ-ისტორიული გამოცდილების, ეთიკური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებითი პრინციპების გააზრებას თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში.
5. ჩამოუყალიბოს სტუდენტებს დარგობრივი და ზოგადბაზისური კომპეტენციები, რომლითაც შეძლებენ ცოდნის სისტემატურ განახლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას - განუვითაროს საჭირო ინფორმაციის მოძიების, კრიტიკულად გააზრებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარი, გაუფართოოს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის შესაძლებლობა, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე.

- ზოგადად პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება განმახორცილებელი, საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლის სტრატეგიაში დეკლარირებულ მისიასა და ხედვას, რაც „კვალიფიციური, ახალი თაობის საჯარო მოსამსახურის და სახელმწიფო თანამდებობის პირთა მომზადებასა“ და „სფეროში საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება“-ს ითვალისწინებს. მიზნები ასევე თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელშიც მაღალი აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი კულტურის დამკვიდრებისკენ სწრაფვაა დეკლარირებული.
- თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ ფორმულირებაში, მკაფიოდ არ იკვეთება პროგრამის ძირითადი მიზნები, რადგან სწორედ ამგვარი დეტალიზებული აღწერა, რომელიც შინაარსითა და ფორმით პროგრამის შედეგებს უფრო წარმოადგენს ვიდრე პროგრამის მიზანს, რეალურად ბუნდოვანს ხდის მიზნების შინაარს. მაგალითად, მიზნების ისეთი ფორმულირება როგორიცაა „ჩამოუყალიბებს თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნებისა და პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების უნარს“ (მიზანი 2), ან „შეისწავლიან ევროპული ინტეგრაციის ძირითად მიმართულებები და საერთაშორისო სამართლის საკითხები, დაეუფლონ პროფესიულ ინგლისურს“ (მიზანი 3) ან „შესაძლებლობა ექნებათ გაიფართოონ ცოდნა გლობალური მმართველობისა და, ზოგადად, საერთაშორისო გამოწვევების შესახებ“ (მიზანი 3) პროგრამის შინაარსობრივ ან/და პროგრამული შედეგების აღწერის ნაწილს წარმოადგნეს, რადგან აღწერს რას შეისწავლიან და რისი შესაძლებლობა ექნებათ სტუდენტებს სწავლის პერიოდში.
- ამასთანავე, აშკარაა კვეთა მიზნებს შორის. მაგალითად:

  „მოამზადოს ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებსაც ეცოდინებათ საჯარო მმართველობის ძირითადი ცნებები/თეორიები...“ (მიზანი 1)

  და

„შესძინოს სტუდენტებს ცოდნა სახელმწიფოს მართვის ფუნდამენტური პრინციპების, თანამედროვე მეთოდების, სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების შესახებ“ (მიზანი 2)

- პროგრამული მიზნების დონეზე „საჯარო მმართველობის ძირითადი ცნებებისა და თეორიების“ შესწავლის და მეორეს მხრივ „საჯარო მართვის ფუნდამენტური პრინციპების“ შესწავლას შორის გამიჯვნა და თითოეულის ცალკეულ მიზნად ასახვა არ არის მიზანშეწონილი.
- გარდა ფორმულირებისა, მნიშვნელოვანია რა წყაროებს ეფუძნება პოგრამის მიზნების შინაარსობრივი დაჯგუფება და განსაზღვრა. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშულია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევები, რაც ასახულია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიშებში. აღსანიშნავია, რომ კველვის ანგარიშებში არ არის წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ნაწილი, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია მონაცემთა შეგროვების, შერჩევისა და ანალიზის შესახებ, რაც თავისთავად ამცირებს კვლევისა და შედეგების ვალიდურობას. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი დამსაქმებელთა კითხვარი არ არის გამართული შინაარსობრივად და კვლევის სტანდარტის კუთხით - ტენდენციური კითხვები, არათანაბარზომიერი პასუხები ა.შ. აღნიშნული კითხვარის საშუალებით ვალიდური მონაცემების შეგროვება შეუძლებელია და შესაბამისად აჩენს განცდას, რომ შემუშავებულია მხოლოდ პროგრამის მიზნებისა ან/და შედეგების ფორმალური დადასტურების მიზნით.
- აგრეთვე, თვითშეფასების ანგარიშშიც და ინტერვიუების მსვლელობისას აღინიშნა, რომ შესწავლილი იქნა ბოლო წლებში საჯარო სექტორში გამოცხადებული ვაკანსიები დასაქმების შემდეგ ელ. პლატფორმებზე: jobs.ge, HR.ge, Myjob.ge და studentjob.ge, რომლებსაც ასევე ეფუძნება პროგრამით განსაზღვრული მიზნები და შედეგები. გარდა იმისა, რომ აღნიშული კვლევების ანგარიშები არ არის წარმოდგენილი, ინტერვიუების მსვლელობისას, ექსპერთა ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე თუ როგორ დამუშავდა აღნიშნულ პლატფორმებზე მოცემული მონაცემები და რა ასახვა ჰპოვა პროგრამის შემუშავების ნაწილში. შესაბამისად, ამ ნაწილში კიდევ უფრო იკვეთება კვლევის ფორმალური ხასიათი, რაც ზოგადად კვლევებთან მიმართებაში ტენდენციურობის განცდას ამძაფრებს.
- საინტერესოა აგრეთვე ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზი, რომელიც შესწავლილია საქართველოში არსებული საჯარო მმართველობის პროგრამები და ორი უცხოეთში (ლიეტუვა და აშშ) განხორციელებული პროგრამა. თუმცა უცხოეთში მოქმედი პროგრამების შემთხვევაშიც, არ არის განსაზღვრული რა კრიტერიუმით შეირჩა ეს ორი პროგრამა შედარებითი ანალიზისთვის და არ შეირჩა მაგალითად ისეთი პროგრამები, რომლებიც მაგალითად აკრედიტებულია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის საჯარო მმართველობის სკოლებისა და ინსტიტუტების პროფესიული ქსელის NISPAcee-ს (EAPAA) ის მიერ.
- აქვე საინტერესოა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინტერვიუებისას რამდენჯერმე გამოიკვეთა, რომ შრომის ბაზრის კვლევების ძირითადი მიგნებები, მაგალითად კურსდამთავრებულთა მხრიდან „მეტი პრაქტიკული კომპონენტის“ მოთხოვნა პროგრამაში ასახულია.
- გასათვალისიწნებელია ის ფაქტიც, რომ პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს „ფართო თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვილი სახელმწიფო

მოსამსახურეები“. კერძოდ, „საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის პროგრამა შექმნილია სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მაღალი სოციალური/პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე მოხელეთა მომზადებისთვის, რომლებსაც შესწევთ უნარი იმოქმედონ ძირითადი ფასეულობის - ადამიანის და მისი უფლებების დაცვის, სოციალური, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით“. ○ მაშინ, როცა საჯარო მმართველობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელთა პოტენციური კატეგორია გაცილებით დიდი შეიძლება იყოს (საჯარო სამსახურის კვლევითა და მხარდაჭერით დაკავებული ანალიტიკური ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ა.შ.) და არ იფარგლებოდეს მხოლოდ საჯარო მოსამსახურეებით. ეს შესაბამისობაში იქნება საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული პროფესიული საქმიანობის განსახორციელებელი ობიექტების ჩამონათვალსთან, რომელიც პროგრამაშია მოცემული: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, სამართალდამცავ ორგანოები და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები; • საჯარო/საჯარო უფლებამოსილების განხორციელებით აღჭურვილი დაწესებულებები; საერთაშორისო ორგანიზაციებში; არასამთავრობო ორგანიზაციებში. შესაბამისად, სასურველია, რომ პროგრამის მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრა პროგრამის მიზნების იდენტიფიცირებისას ხდებოდეს ამ პერსპექტივების ასახვის დონეზე. ○ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მისიათან და სტრატეგიულ ხედვასთან, მიზანშეწონილია მათი გადახედვა და გამართვა სულ მცირე ლოგიკური დაჯგუფების და ფორმულირების თვალსაზრისით, იმგვარად რომ მიზნებს შორის არ იყოს შინაარსობრივი კვეთა და წარმოდგენილი დეტალიზაცია არ გაცდეს პროგრამული მიზნის აღწერის ფარგლებს. ○ გრძელვადიან პერსპექტივაში, პროგრამის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება, რომ მიზნების განსაზღვრა და ფორმულირება დაეფუძნოს მეთოდოლოგიურად გამართულ კვლევებს, რაც ასევე აისახება კვლევის ანგარიშების ხარისხსა თუ პროგრამის მიზნების უფრო ნათლად განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საჯარო მმართველობის პროგრამა • უნივერსიტეტის მისია • საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლის სტრატეგია 2018-2025 • შრომის ბაზრის ანალიზი და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები • დამსაქმებელთა გამოკითხვა (შევსებული კითხვარები) • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან, კუსდამთავრბულებთან
რეკომენდაციები: - რეკომენდირებულია, პროგრამის მიზნების გადახედვა და გამართვა სულ მცირე ლოგიკური დაჯგუფების და ფორმულირების თვალსაზრისით, იმგვარად რომ მიზნებს შორის არ იყოს კვეთა და წარმოდგენილი დეტალიზაცია არ გაცდეს პროგრამული მიზნის აღწერის ფარგლებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გრძელვადიან პერსპექტივაში, პროგრამის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება, რომ მიზნების განსაზღვრა და ფორმულირება დაეფუძნოს მეთოდოლოგიურად გამართულ კვლევებს, რაც ასევე აისახება კვლევის ანგარიშების ხარისხსა თუ პროგრამის მიზნების უფრო ნათლად განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში.

- სასურველია, რომ პროგრამის სამიზნე ჯგუფი მხოლოდ საჯარო მოხელეებით არ იფარგლებოდეს და სამიზნე ჯგუფის ჩამონათვალი გაიზარდოს პოტენციური დასაქმებისა და საჯარო მმართველობის საბაკალავრო საფეხურისთვის რელევანტური ცოდნისა და კომპეტენციების მქონე შესაბამის პირთა ინტერესების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამით გათვალისწინებულია 10 სწავლის (პროგრამული) შედეგი. შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, რომლებსაც პროგრამა გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს. პროგრამის 10 შედეგიდან 4 ორიენტირებულია ცოდნის, 4 პრაქტიკული უნარის და 2 პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტზე. პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგი შეესაბამება რამდენიმე განსაზღვრულ მიზანს, რაც მკაფიოდ აჩვენებს თითოეული პროგრამის შედეგისა და მიზნის შესაბამისობას. თვალსაჩინოებისთვის ასევე წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც წარმოაჩენს თითოეული შედეგისა და მიზნის შესაბამისობის კორელაციის ხარისხს და აღნიშნულია შემდეგნაირად: H (high) -

კორელაციის მაღალი ხარისხი, M (moderate) - კორელაციის საშუალო ხარისში და L (low) - კორელაციის დაბალი ხარისხი. სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში ასევე წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ასახავს სწავლის შედეგების მიმართებას სავალდებულო და არჩევით საგნებთან სამდონიანი მაჩვენებლით, როგორციაა I (Introduction), D (Development) და M (Mastering). ○ პროგრამის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კვლევების შედეგები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კვლევების ანგარიშები, პროგრამის კომიტეტის ოქმი, ა.შ), და პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგებით. თუმცა, პროგრამული შედეგების ნაწილშიც გასაზიარებელია 1.1 სტანდარტში მოცემული მიგნებები კვლევების მეთოდოლოგიასთან და შესაბამისად შედეგების ვალიდურობასთან დაკავშირებით. ○ შედეგების მიღწევის შეფასებისთვის, გამოიყენება სტატისტიკური მონაცემები სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემიდან - „ნექსუსი“. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ნექსუსის მონაცემები მუშავდება IT სამსახურის მიერ და გადაეცემა ხარისხის სამსახურს, რომელიც, თავის მხრივ, აანალიზებს მონაცემებს მაგალითად აკადემიური მოსწრების სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში, ადგენს დაბალი მოსწრების მიზეზებს/ფაქტორებს, ა.შ. და აღნიშულის საფუძველზე შეიმუშვებს რეკომენდაციებს მომდევნო აკადემიური წლის სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. თუმცა აღსანიშანვია, რომ ინტერვიუებისას, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი, კერძოდ როგორ ხდება მონაცემთა ანალიზი, მაგალითად როგორ ხდება დაბალი მოსწრების მიზეზების დადგენა, როგორ ხორციელდება შუალედური შეფასებებისა და ფინალური შეფასებების შედარებითი ანალიზი, რაც სასწავლო პროცესის და შეფასების მეთოდების ნაწილში ნაკლოვანებების გამოვლენის მნიშვნელოვანი საშუალებაა, ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. • თვითშეფასება • პროგრამის სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შედეგების განსაზღვრა და ფორმულირება დაეფუძნოს მეთოდოლოგიურად გამართულ კვლევებს, რაც დადებითად აისახება შედეგების ნათლად განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამის შემთხვევაში განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. ○ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები განსაზღვრულია საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის მიერ. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის დებულებით - „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“. ○ აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განემარტება შესაბამის დაინტერესებულ პირებს საკონსულტაციო შეხვედრებისა და პროგრამაზე ჩაბარების მსურველ აბიტურიენტებთან შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენების დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ○ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა მეტწილად შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.
- სრული პროგრამული კურსი გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და შედგება ორი სემესტრისგან - შემოდგომის (19 კვირა) და გაზაფხულის (19 კვირა). პროგრამა გულისხმობს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა აკადემიური წლის ფარგლებში 60 კრედიტია. თუმცა, დაშვებულია წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვება.

  პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია ორ ჯგუფად:

  1. ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც, თავის მხრივ გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. ამავე დროს, პროგრამა გულისხმობს კონცენტრაციის მოდულების - მუნიციპალური, სახელმწიფო, გლობალური მმართველობის, ადამიანის უფლებების - გავლას სტუდენტის არჩევით;

2. თავისუფალი კომპონენტები, რომელიც, ასევე, გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს.

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად:

ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდული - 145 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდული - სავალდებულოა არანაკლებ 30 კრედიტის მოგროვება;
- კონცენტრაციის მოდული - 30 კრედიტი (სტუდენტს შეუძლია გაიაროს კონცენტრაციის მოდულის ყველა სასწავლო კურსი ან აირჩიოს, არანაკლებ, 4 დისციპლინა, დანარჩენი ორი - შეუძლია შეარჩიოს სხვა კონცენტრაციის მოდულებიდან ან/და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან):

- მუნიციპალური მმართველობა

- სახელმწიფო მმართველობა

- გლობალური მმართველობა

- ადამიანის უფლებები

თავისუფალი კომპონენტები - სულ 35 კრედიტის მოცულობით. პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული ჯგუფი, სწავლის შედეგების ნიშნით, დაყოფილია ინსტრუმენტული და ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების მოდულებად, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების მინიშნებით.

- პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, გადახედვას საჭიროებს პროგრამის ინგლისურენოვანი სახელწოდება. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელთან განხორციელებული ინტერვიუს პირობებში, პროგრამის ინგლისურენოვან ვერსიაში დაზუსტდა პოლიტიკის როგორც policy-ის და არა პოლიტიკის როგორც Politics-ის სახით იდენტიფიცირება. აღნიშნული წარმოადგენს პროგრამის კონცეპტუალიზაციის ნაწილს და რეკომენდირებულია, რომ მოხდეს სათანადო ცვლილებები რელევანტური ინტერპრეტაციისა და პროგრამაზე ადეკვატური წარმოდგენის შესაქმნელად. რეკომენდირებულია დაზუსტდეს პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია და დღეს არსებული ვარიაცია Public Administration and Politics შეიცვალოს Public Administration and Policy-ის სახით, ვინაიდან ინტერნაციონალიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდებოდეს შესაბამის აუდიტორიასთან ადეკვატური კომუნიკაცია.
- პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ეფუძნება ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს. თუმცა, რიგ კურსებთან მიმართებაში, როგორც ეს შემდგომ სტანდარტთან მიმართებაში იქნება დეტალურად წარმოდგენილი, საჭიროებს გაუმჯობესებას უახლესი ლიტერატურისა და საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური სიახლეების, მათ შორის საჯარო მმართველობის SIGMA-ს სტანდარტების, მასში ინტეგრირების დონეზე.
- ასევე, რეკომენდირებულია პროგრამის პირველი მიზნიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ისეთი საჯარო მოხელეების მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ საჯარო მმართველობის ძირითადი ცნებები/თეორიები, გაიზარდოს უშუალოდ

	საჯარო მმართველობის დარგობრივი ცოდნის, შესაბამისი კონცეპტუალური აღქმისა და თეორიული ცოდნის ათვისების შესაძლებლობა. ეს ერთი მხრივ მიიღწევა უშუალდ საჯარო მართველობის თეორიტიკოსთა მეტად წარმოდგენით, მეორე მხრივ კი საჯარო მმართველობის რელევანტური საგნების რაოდენობის გაზრდით ისეთი მიმართულებების დასაფარად, როგორიცაა საჯარო სერვისები, ელექტრონული მმართველობა, ანგარიშვალდებულება და ა.შ. ○ პროგრამის 2.1. შედეგიდან გამომდინარე, რაც რთული ან გაუთვალისწინებელი საჯარო მმართველობითი, მათ შორის, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ხასიათის პრობლემების/შემთხვევების იდენტიფიცირებას, ანალიზსა დას მათი გადაწყვეტისთვის შესაბამისი მეთოდების შერჩევა/გამოყენებას გულისხმობს, პროგრამის სავალდებულო საგნის სახით დაემატოს საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსი. დღეს, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი ანალოგიური სახელწოდების კურსი - პოლიტიკა და პოლიტიკური ანალიზი - არ წარმოადგენს საჯარო მმართველობის პროგრამებში სტანდარტის სახით იდენტიფიცირებულ შესაბამის კურსს არც შინაარსობრივი თვალსაზრისით და არც შესაბამისი ლიტერატურის დონეზე. ○ პროგრამის საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის საჯარო მოხელის ვირტუალური საკონსულტაციო ცენტრისა და პროფესიული პრაქტიკის 7-7 კრედიატინი მოცულობის აქტივობების შეთავაზება, რაც პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული უნარებისა და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის რელევანტური შედეგების პროგრამაზე სწავლის პერიოდშივე გადამოწმების შესაძლებლობას შეიცავს. აქვე, აღნიშვნას საჭიროებს პროგრამაში სოციალური აქტივობის ინტეგრირებაც. ○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდულის ფარგლებში არჩევითობას, რაც მისასალმებელია. თუმცა, სასურველია, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულში წარმოდგენილი საჯარო მმართველობის რელევანტური კურსების გადაჯგუფება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდულში. შესაბამისად, ის საგნები, რომელიც მისანიჭებელი ხარისხის რელევნტური ნაკლებადაა, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულშია სასურველი, რომ ინტეგრირდეს. ○ საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. ○ როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან და ვიზიტის დროს შემდგარი ინტერვიუებიდან ირკვევა, პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, რა მიზნითაც აქტიურად გამოიყენება უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, დაზუსტდეს პროგრამის ინგლისურენოვანი ვერსია და დღეს არსებული ვარიაცია Public Administration and Politics შეიცვალოს Public Administration and Policy-ის სახით, ვინაიდან როგორც პროგრამის კონცეპტუალური შესაბამისი ინტერპრეტაციისთვის, ისე ინტერნაციონალიზაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდებოდეს შესაბამის აუდიტორიასთან ადეკვატური კომუნიკაცია.
- რეკომენდირებულია პროგრამის პირველი მიზნიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ისეთი საჯარო მოხელეების მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ საჯარო მმართველობის ძირითადი ცნებები/თეორიები, გაიზარდოს უშუალოდ საჯარო მმართველობის დარგობრივი ცოდნის, შესაბამისი კონცეპტუალური აღქმისა და თეორიული ცოდნის ათვისების შესაძლებლობა. ეს ერთი მხრივ მიიღწევა უშუალდ საჯარო მართველობის თეორიტიკოსთა მეტად წარმოდგენით, მეორე მხრივ კი საჯარო მმართველობის რელევანტური საგნების რაოდენობის გაზრდით ისეთი მიმართულებების დასაფარად, როგორიცაა საჯარო სერვისები, ელექტრონული მმართველობა, ანგარიშვალდებულება და ა.შ.
- პროგრამის 2.1. შედეგიდან გამომდინარე, რაც რთული ან გაუთვალისწინებელი საჯარო მმართველობითი, მათ შორის, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ხასიათის პრობლემების/შემთხვევების იდენტიფიცირებას, ანალიზსა დას მათი გადაწყვეტისთვის შესაბამისი მეთოდების შერჩევა/გამოყენებას გულისხმობს, პროგრამის სავალდებულო საგნის სახით დაემატოს საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსი. დღეს, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი ანალოგიური სახელწოდების კურსი - პოლიტიკა და პოლიტიკური ანალიზი - არ წარმოადგენს საჯარო მმართველობის პროგრამებში სტანდარტის სახით იდენტიფიცირებულ შესაბამის კურსს არც შინაარსობრივი თვალსაზრისით და არც შესაბამისი ლიტერატურის დონეზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულში წარმოდგენილი საჯარო მმართველობის რელევანტური კურსების გადაჯგუფება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო მოდულში. შესაბამისად, ის საგნები, რომელიც მისანიჭებელი ხარისხის რელევნტური ნაკლებადაა, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულშია სასურველი, რომ ინტეგრირდეს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში

- პროგრამის საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის საჯარო მოხელის ვირტუალური საკონსულტაციო ცენტრისა და

პროფესიული პრაქტიკის 7-7 კრედიატინი მოცულობის აქტივობების შეთავაზება, რაც პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული უნარებისა და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის რელევანტური შედეგების პროგრამაზე სწავლის პერიოდშივე გადამოწმების შესაძლებლობას შეიცავს. აქვე, აღნიშვნას საჭიროებს სოციალური აქტივობის ინტეგრირებაც.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ამავდროულად, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ○ პროგრამის ფარგლებში კონცენტრაციის 4 მოდულის (მუნიციპალური მმართველობა, სახელმწიფო მმართველობა, გლობალური მმართველობა და

ადამიანის უფლებები) შეთავაზება, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს უწევს მინიმუმ 30 კრედიტის დაგროვება (სტუდენტს შეუძლია გაიაროს კონცენტრაციის მოდულის ყველა სასწავლო კურსი ან აირჩიოს, არანაკლებ, 4 დისციპლინა, დანარჩენი ორი - შეუძლია შეარჩიოს სხვა კონცენტრაციის მოდულებიდან ან/და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან), გაცილებით სტრუქტურირებულს ხდის პროგრამას. თუმცა, ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვები ამ კონცენტრაციების ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების კონცენტრაციის შესაბამის მოდულში ინტეგრაციის თავსებადობასთან მიმართებაში - ასე მაგალითად, სასწავლო კურსი - პიროვნების სოციალიზაცია და იდენტიფიკაცია სოციუმში, ისევე როგორც სასწავლო კურსი - საზოგადოებასთან ურთიერთობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, რამდენად შეესაბამება მუნიციპალური მმართველობის კონცენტრაციას. ანალოგიური სახის კითხვები ჩნდება სხვა კონცენტრაციების ფარგლებში წარმოდგენილი საგნების შემთხვევაშიც. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდულის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების მეშვეობით გაცილებით რელევანტურადაა შესაძლებელი კონცენტრაციის ფარგლებში შესაბამისი სასწავლო კურსების იდენტიფიცირება - ნაწილის - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი მოდულის, ნაწილის კი - შესაბამის კონცენტრაციებში.

- თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. თუმცა, არ კონკრეტდება ის მოთხოვნები, რომელიც შეფასების თითოეული კომპონენტის მიღმა იგულისხმება. რეკომენდირებულია, რომ შეფასების კომპონენტები კურსების შემთხვევაში ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ასევე, რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს იმ ზოგადი მოთხოვნების მიღმა, რომელიც შეფასების გრადაციებში ჩანს.
- სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, საჯარო მმართველობის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა რეკომენდირებულია, რომ მეტად შესაბამისობაში მოვიდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებთან, კერძოდ, საჯარო მმართველობის თანამედროვე სტანდარტებთან, მინიმუმ SIGMA-ს ინსტრუმენტებთან მიმართებით. ასევე, სასურველია, რომ პროგრამა და დარგის შესაბამისი სასწავლო კურსები მეტად ითვალისწინებდეს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები

- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, რომ შეფასების კომპონენტები კურსების შემთხვევაში ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას. ასევე, რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს იმ ზოგადი მოთხოვნების მიღმა, რომელიც შეფასების გრადაციებში ჩანს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საჯარო მმართველობის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა სასურველია, რომ მეტად შესაბამისობაში მოვიდეს მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებთან, კერძოდ, საჯარო მმართველობის თანამედროვე სტანდარტებთან, მინიმუმ SIGMA-ს ინსტრუმენტებთან მიმართებით. ასევე, სასურველია, რომ პროგრამა და დარგის შესაბამისი სასწავლო კურსები მეტად ითვალისწინებდეს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. შესაბამისად, პროგრამა საჭიროებს გაუმჯობესებას უახლესი ლიტერატურისა და საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური სიახლეების, მათ შორის საჯარო მმართველობის SIGMA-ს სტანდარტების, მასში ინტეგრირების დონეზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკულ კომპონენტს. ის ცალკეულ სასწავლო კურსში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტების გარდა, დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტების მოდულის არსებობასაც გულისხმობს. მასში ერთიანდება - საჯარო მოხელის ვირტუალური საკონსულტაციო ცენტრისა და პროფესიული პრაქტიკის 7-7 კრედიატინი მოცულობის აქტივობების შეთავაზება და დამატებით სოციალური აქტივობის განხორციელება. პრაქტიკის პერიოდში სტუდენტი უშუალოდ მონაწილეობს პრაქტიკის ობიექტის საქმიანობის განხორციელების პროცესში, მოქმედებს როგორც ორგანიზაციის რიგითი საშტატო პერსონალი, ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებსა და ვალდებულებებს, გამოიმუშავებს პრაქტიკული საქმიანობის პროფესიულ და ტექნიკურ უნარჩვევებს. ეცნობა პრაქტიკის ობიექტის მუშაობის სპეციფიკას, აგროვებს მონაცემებს პრაქტიკის ანგარიშის მოსამზადებლად. სტუდენტი პრაქტიკის ობიექტზე აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, წერს პრაქტიკის ანგარიშს და ახდენს მის პრეზენტაციას, შეძენილ გამოცდილებას უზიარებს საკვალიფიკაციო კომისიას და წარმოადგენს ხედვებს პრაქტიკის ობიექტის ფუნქციონირების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. სტუდენტის პრაქტიკის პროცესის ორგანიზებას პრაქტიკის ობიექტზე ხელმძღვანელობს მენტორი ორგანიზაციიდან, ხოლო უნივერსიტეტიდან პრაქტიკის პროცესს უძღვება პრაქტიკის ხელმძღვანელი. გარდა ამისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ სასწავლო-პრაქტიკული აქტივობა განახორციელონ პრაქტიკის შესაბამის ობიექტებზე. გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ○ სოციალური აქტივობა, კრედიტების მინიჭების გარეშე წარმართული აქტივობაა, რომელიც, როგორც პროგრამაში ვეცნობით, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა. მისი მიზანია სტუდენტს, როგორც მომავალ მოხელეს, ჩამოუყალიბოს აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, გაუღვივოს საზოგადოების წევრთა მიმართ თანაგრძნობა და მხარდაჭერის მოტივაცია, განუვითაროს საზოგადოების მრავალფეროვნებისადმი ლოიალური დამოკიდებულება, მაღალი სოციალური და პროფესიული პასუხისმგებლობა. ამ მიზნის მისაღწევად სტუდენტი ვალდებულია განახორციელოს ისეთი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა ცხოვრების პირობების გაცნობას, მოწყვლადი სოციალური ფენის პრობლემების გაცნობიერებას/გათავისებას, მონაწილეობის მიღებას მათ მოგვარებაში. მიღებული

გამოცდილება მომავალ საჯარო მოხელეს დაეხმარება მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების, სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინების პრინციპებზე. სოციალური აქტივობის განხორციელება შესაძლებელია, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად, საგანმამანთლებლო ციკლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, სტუდენტის შეხედულებისამებრ, ჯამურად, არანაკლებ, 15 დღის მანძილზე (შესაძლებელია გამოყოფილი დღეების ფარგლებში). ჩატარებული საქმიანობის შესახებ სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი ვალდებულია გააკეთოს პრეზენტაცია ვიზუალური მასალის თანხლებით (შესაძლებელია გამოხმაურების დემონსტრირებით), აკადემიური ჯგუფის წინაშე, დეკანის/აკადემიური პერსონალის/გარეშე პირების თანდასწრებით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში სოციალური აქტივობის ინტეგრირება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიჩნეულია საუკეთესო პრაქტიკად, დასაზუსტებელია მისი როგორც საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის სახით განხორციელება რა კრიტერიუმებისა და შეფასების რა ფორმებს ეყრდნობა. კითხვებს ბადებს თავად საკვალიფიკაციო გამოცდის ელემენტიც, რომელიც პროგრამის აღწერილობაში არ გვხვდება. შესაბამისად, სასურველია, რომ სოციალური აქტივობის განხორციელების ეტაპების მეტად ფორმალიზება და შესაბამისი მართვა.

- პროგრამა ასევე ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, რაც 15 კრედიტიანი დატვირთვის სახითაა იდენტიფიცირებული. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ეს ნაწილი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და ხორციელდება ბოლო სემესტრის განმავლობაში. პროგრამაში ინტეგრირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს, საბაკალავრო ნაშომის სავალდებულო ხელმძღვანელობისთვის საჭირო რესურსებს. თუმცა, 4.1. ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციის - პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა - დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის პოტენციალი მნიშვნელოვნად ამაღლდება და ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) მეტად შესაბამისი გახდება.
- უნივერსიტეტში მოქმედებს საბაკალავრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი. წარმოდგენილი მტკიცებულებების დაყრდნობითა და ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ საბაკალავრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ და მათ ამ კუთხით სრული თავისუფლება ეძლევათ. სტუდენტებს კითხვა დაესვათ თუ ციტირების რომელ მეთოდს იყენებდნენ, რასთან დაკავშირებითაც სტუდენტების ინფორმირება აღსანიშნავია. მათ აღნიშნეს, რომ სანამ უშუალოდ დაიწყენდნენ ნაშრომზე მუშაობას, მანამდე მათ საკონსულტაციო შეხვედრა ჩაუტარდათ, სადაც გააცნეს ის ზოგადი წესები, რომელიც დაცული უნდა ყოფილიყო საბაკალავრო ნაშრომის შესრულების დროს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომი შესაბამისობაშია მათ შეფასების სისტემასთან. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა ასევე სტუდენტების ინფორმირება ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, რაც არის პლაგიატი. მათ აღნიშნეს,

რომ არაერთხელ ხდება ლექტორების მხრიდან ინფორმირება თუ რას ნიშნავს პლაგიატი და რატომ არის მნიშვნელოვანი მასთან ბრძოლა. მათ ასევე ხაზი გაუსვეს იმას, რომ ხდება საინფორმაციო შეხვედრები ამ მიმართულებით და სტუდენტებს სისტემატიურად ეგზავნებათ/მიეწოდებათ ინფორმაცია პლაგიატთან დაკავშირებით. სტუდენტები ამასთან ინფორმირებულები არიან იმ სისტემის შესახებ, რის საშუალებითაც ხდება პლაგიატის შემოწმება. ○ შესაბამისად, პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. დამსაქმებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები ○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ○ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, რომ სოციალური აქტივობის განხორციელების ეტაპების მეტად ფორმალიზება და შესაბამისი მართვა. ○ 4.1. ქვესტანდარტში წარმოდგენილი რეკომენდაციის - პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა - დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობის პოტენციალი მნიშვნელოვნად ამაღლდება და ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) მეტად შესაბამისი გახდება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
- სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს "საჯარო მმართველობის და პოლიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასება არის სამართლიანი და შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციებს და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ○ შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას (საერთო შეფასების ფარგლებში მისი ხვედრითი წილია 60%, მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21%) და დასკვნით შეფასებას (საერთო შეფასების ფარგლებში მისი ხვედრით წილია 40%, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21%). აღნიშნული მეთოდების გარდა, შეფასებისას გამოიყენება/ითვლება სხვა მეთოდები, რომელიც საბოლოოდ შეფასებაში ითვლება და ჯამდება. შეფასების მეთოდებში, ასევე გამოიყენება შემდეგი მექანიზმები, როგორიცაა: ესსე, რეფერატი, ანგარიში, საშინაო დავალება, ტესტი და ა.შ, რომელიც საბოლოო ჯამში მთლიანი ქულის მიღებას უზრუნველყოფს

და სტუდენტს აძლევს საშუალებას მხოლოდ ორი მეთოდის გამოყენებით (შუალედური, დასკვნითი შეფასება) არ დააგროვოს ქულები და ჰქონდეს შესაძლებლობა სხვადასხვა მიმართულებით გამოიჩინოს თავი და მიიღოს ცოდნა. საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამაში სტუდენტის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი რექტორის მიერ დამტკიცებული სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული შეფასების პროცედურა; დადგენილია ზოგადი წესი თითოეული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასებისათვის. აღნიშნული ზოგადი შეფასების სისტემის გარდა, კონკრეტულ საგნებში შესაძლებელია იყოს დამატებით განსაზღვრული შეფასების სხვა მექანიზმი, რომელიც შუალედური და ფინალური შეფასების გარდა, სხვა სამუშაოებს ითვალისწინებს. დადებითი შეფასების შემდგომ, მისი გადაბარება ქულის მომატების მიზნით დაუშვებელია. სტუდენტის მხრიდან საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოცდის გადავადება, რომელიც თანდართული დოკუმენტაციით უნდა წარედგინოს საგნის პროფესორს. თითოეულ სტუდენტს, აქვს შესაძლებლობა უნივერსიტეტის პორტალის მეშვეობით (NEXUS), წინასწარ, საგნის არჩევამდე გაეცნოს მის სილაბუსს, სადაც დეტალურად არის აღწერილი შეფასების კრიტერიუმები და ის მეთოდები, რომელიც გათვალისწინებულია შეფასებისას. ამასთან, სტუდენტებთან ინტერვიურების დროს, მათ აღნიშნეს, რომ თითოეული ლექტორი პირველ ლექციას სწორედ სილაბუსის გაცნობითა და შეფასების მექანიზმების ახსნით იწყებს, რაც სტუდენტებს კიდევ ერთხელ კარგად ამახსოვრებინებს თუ რაში და როგორ უნდა მიიღონ შეფასება. სტუდენტებს ინტერვიურების დროს ასევე კითხვები დაესვათ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ და მათ აღნიშნეს, რომ იცნობენ გასაჩივრების მექანიზს და თვლიან რომ არის სამართლიანი, რადგან კომისიის წევრების მიერ გადაწყვეტილება ისე უნდა იქნას მიღებული, რომ არ გაუარესდეს სტუდენტის შეფასება. ○ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ლექტორისაგან მიიღონ უკუკავშირი მის შესრულებულ შუალედურ თუ ფინალურ ნაშრომთან დაკავშირებით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ნათლად იმ შეცდომებს, რომელიც დაშვებულ იქნა გამოცდის წერისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ დანართი 1.1. (საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) ○ დანართი 1.1. (საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N2) ○ დანართი 4.3. (სწავლის შედეგების შეფასება) ○ დანართი 4.5. (შეფასების მეთოდების აღწერა) ○ დანართი 13.6. (სტუდენტის სტატუსისა და პროცესის რეგლამენტი, მუხლი 40) ○ დანართი 13.6. (სტუდენტის სტატუსისა და პროცესის რეგლამენტი, მუხლი 44) ○ https://www.gruni.edu.ge/ ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ინტერვიურებისა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც უნივერსიტეტის მხრიდან იქნა წარმოდგენილი ჩანს რომ მეტწილად შესაბამისობაშია აღნიშნული სტანდარტი მოთხოვნებთან. ○ იმისათვის რომ განხორციელდეს აკადემიური პროგრესი, ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში, ხორციელდება ლექტორთან კონსულტაციები. აღნიშნული მიზნად ისახავს სტუდენტის მჭირდო კავშირის არსებობას საგნის ხელმძღვანელთან და ამასთან, გამოცდის შედეგების შემდგომ ეფექტური უკუკავშირის არსებობას, რათა სტუდენტს არ დარჩეს დაუკმაყოფილებლობისა და უკმაყოფილების შეგრძნება. აღნიშნულისათვის, სტუდენტების პორტალზე (NEXUS), ლექტორებს შესაძლებლობა აქვთ შეფასების შემდგომ ხარვეზების შესახებ მიუთითოს კონკრეტულ სტუდენტს, ხოლო ლექციაზე, ვინაობის დასახელების გარეშე განხილოს/გაარჩიოს ის ხარვეზები/შეცდომები, რომელიც ნაშრომის შესრულების დროს დაშვებულ იქნა. ინტერვიურების დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა სტუდენტების კმაყოფილების დონე, ისინი აღნიშნავდნენ რომ არაერთხელ მიუღიათ სტუდენტურ კონფერენციებსა და პრეზენტაციებში მონაწილეობა, რომლის შესახებაც, როგორც ვებ-გვერდის საშულებით გაიგეს, ისე პორტალზეც იყო განთავსებული ინფორმაცია და კიდევ ერთხელ დამატებით ლექტორების მხრიდანაც ვრცელდებოდა ინფორმაცია, შესაბამისად ყველანაირად ეცნობოდნენ კონფერენციერებისა და გამოსვლების შესახებ ინფორმაციას. ○ სტუდენტებმა ინტერვიურების შედეგად აღნიშნეს, რომ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ასევე პანდემიის დროს ლექტორებთან, უნივერსიტეტში სწავლების ხარისხი არ დაცემულა. პორტალის საშუალებით ჩანაწერის შენახვა ხორციელდებოდა, რომელიც საშუალებას იძლეობდა ნებისმიერ დროს გაცნობოდა სტუდენტი სასურველ საგანს, რადგან ჩანაწერი ხილვადი იყო სემესტრის ბოლომდე. სტუდენტებმა ინვერიურების დროს აღნიშნეს, რომ დეკანთან მათ სემესტრში ორჯერ ჰქონდათ შეხვედრა, სადაც განიხილავდნენ იმ საკითხებს, რომელიც შესაძლოა გამოსასწორებელი ყოფილიყო უნივერსიტეტის მხრიდან. გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით ექსპერტის მიერ კითხვის პასუხად მათ აღნიშნეს, რომ კარგად იცნობენ გასაჩივრების მექანიზმს, მიუხედავად იმისა რომ უშუალოდ მათ არ გამოუყენებიათ, იციან რომ ისეა შემოთავაზებული, რომსტუდენტის მდგომარეობა არ გაუარესდეს და შესაბამისად, გასაჩივრება ქულის დაკლებას არ ითვალისწინებს. ○ სტუდენტებმა ინტერვიურების დროს ასევე ხაზი გაუსვეს პორტალის მნიშვნელობასა და მის მოქნილობას, აღნიშნული საშუალებას იძლევა ნებისმიერი დოკუმენტაციის შინაარსის გაცნობის, სიახლეებისა და მნიშვნელოვანი დებულებების, კონფერენციებისა და სტუდენტური პროექტების შესახებ, რომელიც საკმაოდ მარტივია სტუდენტებისათვის და კარგად გასაგები.

- გასაუმჯობესებელია საერთაშორისო პროექტებსა და პროექტებში სტუდენტების მონაწილეობა, რადგან წარმოდგენილი მტკიდებულებებით საკმაოდ მწირი რაოდენობა სარგებლობს აღნიშნულით.
- ამასთან, გასაუმჯობესებელია უცხოელი ლექტორების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, რადგან აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტებს გაიგონ ის სიახლეები და ის სწავლის მეთოდები, პრაქტიკა, რომელსაც ლექტორი წააწყდა თავისი გამოცდილების ფარგლებში.
- მწირი მაჩვენებელია ასევე იმ სტუდენტებისა, რომლებმაც დაფინანსება მოიპოვეს და ისარგებლეს გრანტით. გასაუმჯობესებელია აღნიშნული რაოდენობა, რადგან დაფინანსების გარეშე, სტუდენტს გაუჭირდება საკუთარი სახსრებით გამოიყენოს/ისარგებლოს იმ საერთაშორისო პროექტებით, რომლებიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მიერ.
- აღნიშნული გასაუმჯობესებელი საკითხები, რომელიც საერთაშორისო მიმართულებით სტუდენტების ჩართულობის გაუმჯობესებას ეხება სტუდენტების მხრიდანაც იქნა აღნიშნული ინტერვიურების დროს, ასევე მათ ხაზი გაუსვეს ფიზიკური სწავლების მნიშვნელობასა და სურვილზე, რომ აუდიტორიაში იქნას სწავლა აღდგენილი.
- ინტერვიურების დროს აღინიშნა, რომ კურსდამთავრებულებს მჭიდრო კავშირი აქვთ უნივერსიტეტთან დამთავრების მიუხედავად, მათი მეილი არის აქტიური და შესაბამისად, სისტემატიურად ეგზავნებათ შეტყობინება დასაქმების, პროექტებისა და სიახლეების შესახებ. ინტერვიურების დროს მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის ჩართულობით ისინი დასაქმებულები არიან, რადგან უნივერსიტეტმა მათი სტაჟირების პროგრამა უზრუნველყო, რის შემდგომაც დარჩა დასაქმებული კონკრეტულ დაწესებულებაში და ამისათვის კმაყოფილებას გამოხატავენ თვითონ უნივერსიტეტის მიმართ, რადგან საშუალება და შესაძლებლობა მიეცათ აღნიშნული მექანიზმის გამოყენების.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 1.1 (საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებრო პროგრამა)
- დანართი 5.4. (პერსონალის დატვირთვის სქემა)
- დანართი 8.1. (მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან)
- დანართი 13.7. (სტუდენტური მხარდაჭერისა და სერვისის სამსახურის დებულება)
- დანართი 13.8. (აკადემიური სკოლის დებულება)
- დანართი 13.4. (სტუდენტური აქტივობები, პროექტები)
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტებიდან (ინფორმაცია პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესახებ, ინფორმაცია სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის შესახებ, უცხოელი ლექტორების აქტივობები, მემორანდუმები (ახალი), ინფორმაცია სტუდენტთა დაფინანსების შესახებ)
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, განხორციელდეს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობა საერთაშორისო პროექტებსა და კვლევებში, მოხდეს მეტი სტუდენტის დაფინანსება საერთაშორისო პროექტებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, გაძლიერდეს ინფორმირებულობა და მნიშვნელობა სტუდენტებთან საერთაშორისო პროექტებში ჩართვის მნიშვნელობასა და აუცილებლობასთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც აერთიანებს, როგორც აკადემიურ ასევე მოწვეულ პერსონალს. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, კერძოდ: პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 62 პროფესორ-მასწავლებელი, რაც აერთიანებს 8 პროფესორს (მათ შორის 7 აფილირებული), 16 ასოცირებულ პროფესორს (მათ შორის 14 აფილირებული), 1 ასისტენტ პროფესორს (აფილირებული), 4 ასისტენტს (4 აფილირებული), 33 მოწვეულ პროფესორს.
- მოწვებული და აკდემიური პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 33/29-სთან და შესაბამისად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით. პირად საქმეებში მოცემულია ინფორმაცია პერსონალის პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობისა და სფეროსთან დაკავშირებული სხვა აკადემიური აქტივობების შესახებ. **თუმცა, უშუალოდ, სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციების მატარებელ პირთა წილი საკმაოდ მწირია.**
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა, გარდა საკონტაქტო დატვირთვისა, ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტირებას და პროგრამის განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.
- პროგრამის ხელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საჭიროებებთან. გარდა პროფესორის თანამდებობისა პროგრამის ხელმძღვანელი ასევე იკავებს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობას, რაც განსაკუთრებით გამოკვეთს ასევე მის გაცდილებას პროგრამასთან დაკავშირებით არსებული ადმინისტრაციული საკითხების ჯეროვნად წარმართვის მიმართულებით.
- გარდა ამისა პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან შესაბამისი კომპეტენციების მქონე ადმინისტრაციული პერსონალი სასწავლო პროცესის მართვის, საბიბლიოთეკო რესურსებთან წვდომის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტის დეკანის აპარატიდან, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის შეუფერხებელი განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალის დატვირთვის სქემა
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, რომ პროგრამაზე გაიზარდოს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) შესაბამისი დარგობრივი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა, ისევე როგორც გაუმჯობესდეს ძირითადი სწავლის სფეროს (საჯარო მმართველობა) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებლი პერსონალის შემადგენლობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უსდ ეტაპობრივად ახორციელებს პერსონალის აკადემიური პროდუქტიულობის შეფასებას და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის განვითარების სამომავლო პერსპექტივების განსასაზღვრად. ○ პროგრამაზე თანდართული მემორანდუმებით, საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის ამსახველი მონაცემებით, პერსონალის საეთაშორისო მობილობებში მონაწილეობის ანგარიშებით, ისევე როგორც ჩატარებული ინტერვიუებით და პერსონალის პირადი საქმეებით დასტურდება, რომ უსდ-ში უზრუნველყოფილია პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. გარდა ამისა, უსდ-ში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების მართვისა და საერთაშორისო ინტეგრაციის

ცენტრები, რომელთა ძირითადი მიზანია უსდ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარება.

- გარდა იმისა, რომ უსდ-ს დახმარებით პერსონალს აქვს შესაძლებლობა სრული დაფინანსებით მიიღოს მონაწილეობა შესაბამის თემატურ ტრენინგებსა და აკადემიურ აქტივობებში, უსდ ასევე სრულად აფინანსებს პერსონალის მიერ გამოსაცემად მომზადებული სამეცნიერო პუბლიკაციების, მონოგრაფიების, სალექციო კურსების რიდერების ბეჭდვას. უსდ ასევე ხელს უწყობს პერსონალს რეფერირებადი პუბლიკაციების გამოქვეყნებაში საკუთარი საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის ფარგლებში არსებული შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.
- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის წამახალისებელ რამდენიმე ფინანსურ ინსტრუმენტს, საჯარო მმართველობის მიმართულებით სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლების გასაზრდელად რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართვის მიზნით, ასევე მეტად სისტემატიზირებულად მართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- პროგრამაზე თანდართული დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის წამახალისებელ რამდენიმე ფინანსურ ინსტრუმენტს, საჯარო მმართველობის მიმართულებით სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლების გასაზრდელად რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში აქტიური ჩართვის მიზნით, ასევე მეტად სისტემატიზირებულად მართოს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და შედეგების ანალიზის პროცესი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას უსდ-ს მატერიუალურ-ტექნიკური ბაზის გამართულობაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ უსდ უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და რესურსებით. უსდ-ს ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ისეთ საერთაშორისო ბაზებთან, როგორებიცაა: HeinOnline, Academic Search Elite, Business Source Elite, MasterFILE ELITE, Medline, Health Source: Consumer Edition + Nursing/Ac ademic Edition, Library Information Science & Technology Abstracts (LISTA), GreenFILE, ERIC (the Education Resource Information Center), Newspaper Source, Regional Business News. აღნიშნულ ბაზებთან წვდომა პერსონალისა და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია როგორც უნივერსიტეტიდან ასევე უნივერსიტეტს მიღმაც. ○ უსდ-ს ბიბლიოთეკაში სრულად არის დაცული პროგრამის კურიკულუმში შემავალი საგნების სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა. ○ გარდა ამისა ბიბლიოთეკაში ასევე არის გამოყოფილი შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო კუთხეები, რაც ხელმისაწვდომია, როგორც პერსონალისთვის ასევე სტუდენტებისთვის. ○ უსდ ასევე უზრუნველყოფს შესაბამისი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიების ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და მაღალი ხარისხით განხოციელების მიზნებისათვის. ○ უსდ-ში თვალსაჩინოდ არის გამოკრული შესაბამისი უსაფრთხოების ინსტრუქციები, რაც სვებს შორის ასევე მოიცავს COVID პანდემიისათან დაკავშირებულ კომპონენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ონლაინ დათვალიერების შედეგები;

- ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამაზე თანდართული ბიუჯეტისა და ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროგრამისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროებების დაფარვას.
- გარდა პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა უსდ ასევე საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის განვითარებისათვის გათვალისწინებულ სარეზერვო ფონდში არსებული თანხების მიმართვას პროგრამის გრძელვადიანი განვითარების მიზნებისა და მდგრადობის შენარჩუნების მიზნებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს

და ეყრდნობა PDCA ციკლს, რაც გულისხმობს პროცესის წარმართვას შემდეგ პრინციპზე დაყრდნობით - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

- პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს ძირითადად არეგულირებს დაწესებულებაში მოქმედი რამდენიმე დოკუმენტი:
- 1. „საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი" - ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი და პროგრამის აგების ძირითადი პრინციპები. დოკუმენტი თავის მხრივ მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების წესს, თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების შეფასება და როგორ ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი. მონიტორინგის ნაწილი ადგენს შეფასების მეთოდებს, მონაცემების წყაროებს, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირს/ერთეულს და ასევე განსაზღვრავს შესრულების პერიოდს.
- 2. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" - აღნიშნული დოკუმენტი აღწერს უნივერსიტეტში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის პერიოდულობას აქტივობებს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების მიმართულებით. ასევე განსაზღვრავს შეფასების იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც ადგენს რამდენად ეფექტურია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.
- ციკლის მიხედვით, არსებული მექანიზმების გამოყენება ხდება შემდგგვარად:

  I. დაგეგმე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა მიმდინარეობს ერთი კალენდარული წლისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რაც მოიცავს ძირითადი მიმართულებით შესასრულებელ ამოცანებს. საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები არიან ჩართულნი.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ ხარისხის მართვის რეგლამენტში, დეტალურად არის გაწერილი განსახორციელებელი აქტივობები შესრულების ვადების მითითებით. ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, სრულად მოიცავს იმ ღონისძიებებს, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესისა და რესურსების შეფასებისა და განვითარებისთვის.
- ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა ხარისხის მართვის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.
- **II. განახორციელე** - პროგრამის შეფასების პროცედურებიდან გამომდინარე დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პერიოდულობა. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი იყო შესაბამისი გამოკითხვები და მათი ანალიზი. ინსტიტუცია აქტიურად იყენებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს.
- როგორც ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, აფილირებული აკადემიური პერსონალი ყოველი წლის დასაწყისში ადგენს სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების, ხოლო ყოველი სემესტრის დასაწყისში - სასწავლო-მეთოდური მუშაობის ინდივიდუალურ გეგმას. სასწავლო წლის ბოლოს პერსონალი წარადგენს ინფორმაციას ამ გეგმების შესრულების შესახებ აკადემიურ

სკოლებში, რომლებიც აანალიზებენ და შედეგებს გადასცემენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

- სასურველია რომ შეფასების საბოლოო შედეგები ებმოდეს გარკვეული ტიპის წამახალისებელ აქტივობას.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებულ გარემოებებს და დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა „რჩევების“ ნაწილში.

- სასურველია, თუკი აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში ჩართული იქნება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. უფრო კონკრეტულად კი, თუკი შეფასება მოხდება დეკანის მიერ, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, რაც დაადასტურებს თუ რამდენად აქტიურად თანამშრომლობს პერსონალი უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.
- პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასება ხელს შეუწყობს სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, შემოქმედებითი ინიციატივის გაღვივებას, რაც, ბუნებრივია, მიმართული იქნება უნივერსიტეტის განვითარებისა და ხარისხის ამაღლებისკენ.

- **III. შეამოწმე** - სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ხდება საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამაში შემავალი კომპონენტების პერიოდული მონიტორინგი.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტები, მონიტორინგისა და შეფასების ფორმები; სწავლება-სწავლის ხარისხის შეფასების ფორმები; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმები; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების ფორმები. აქედან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსები/კომპონენტები, არამედ სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების გზით.
- **IV. განავითარე** - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას და შემდგომ რეაგირებას.
- ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა, თუმცა არ იკვეთება გაცემულ რეკომენდაციათა შესრულების ანუ შემდგომი რეაგირების ანგარიშები, რაზეც უფრი დეტალურად 5.3 ქვესტანდარტშია ყურადღება გამახვილებული (იხ. 5.3 სტანდარტი).

- პროგრამაში ჩართული პერსონალი პრაგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს.
- ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის მართვის რეგლამენტი
- გამოკითხვის, ანგარიშის ფორმები
- კმაყოფილების კვლევა
- საჯარო მმართველობისა და პლიტიკის სკოლის ანგარიში
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანგარიში
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- ხარისხის შეფასების ანგარიში
- თვითშეფასების დანართები (პროგრამის მიზნებსა და შედეგების რუკა; კურიკულუმის რუკა; პროგრამის შეფასების გეგმა; პროგრამის სამიზნე ნიშნულები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის საბოლოო შეფასებები ებმოდეს გარკვეული ტიპის წამახალისებელ აქტივობებს, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის პერსონალის მოტივაციას.

- სასურველია, თუკი აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში ჩართული იქნება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული შესაბამისი კითხვარების გამოყენებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2	გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.
- პროგრამის გარე შეფასება განახორციელეს საქართველოში არსებული უსდ-ს ორმა წარმომადგენელმა. არცერთი შემფასებელი არ იყო შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს და მათ გააჩნდათ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.
- მათ მიერ პროგრამის შეფასება აისახა სპეციალურად შემუშავებულ ფორმაში, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპონენტების შეფასებებს: პროგრამის მიზნები და შედეგები; პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; მეთოდები; სასწავლო რესურსი. თითოეული კომპონენტის შეფასებისათვის განსაზღვრულია ქულობრივი ჩაშლა. საბოლოოდ მინიჭებული ქულა კი გვაძლევს შესაძლებლობას დავადგინოთ, თუ რამდენად არის მიახლოებული საბოლოო შედეგთან წარმოდგენილი კრიტერიუმი.
- შემფასებელთა მხრიდან მიღებული გამოხმაურებები და გამოთქმული რეკომენდაციები განხილული იქნა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ.
- ვინაიდან საბოლოო დასკვნა და გაცემული რეკომენდაციები არ არის სიღრმისეული, გარე შეფასებაც წარმოშობს გარკვეულ კითხვებს. სასურველია გამოხმაურებები არ იყოს ზედაპირული, ზოგადი და შესაბამისად გვაძლევდეს უფრო ნათელ სურათს პროგრამის შეფასების ნაწილში. გარე შეფასებებით უნდა მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების უფრო მეტად იდენტიფიცირება. შეფასებები უნდა იყოს უფრო დეტალური და სიღრმისეული.
- გარდა ამისა, სასურველია პროგრამა შეფასდეს უცხოელი შემფასებლის მიერაც. როგორც ადგილობრივი დარგის პროფესორის/პრაქტიკოსის მიერ, ასევე უცხოელი პროფესორის მიერ კოლეგიალური შეფასება მეტ შესაძლებლობას მოგვცემს, რომ გაზიარდეს საუკეთესო პრაქტიკა, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს პროგრამის აქტუალობას და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- გარე შეფასების დოკუმენტი
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების უფრო მეტად იდენტიფიცირება. შეფასებები უნდა იყოს უფრო დეტალური და სიღრმისეული.
- სასურველია, პროგრამა შეფასდეს უცხოელი შემფასებლის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ უნივერსიტეტის პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს „ხარისხის მართვის რეგლამენტის“ მიხედვით დადგენილი სამოქმედო გეგმით (ერთი კალენდარული წლის სამოქმედო გეგმა). გეგმა მოიცავს ისეთ აქტივობებს როგორიცაა: სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, კვლევის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეთოდების განსაზღვრა (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება, მეცადინეობაზე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა ან/და კოლეგების დასწრება ჩატარებული მეცადინეობის შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, დამსაქმებელთა გამოკითხვა სტუდენტთა ინტერვიუები, ჩაღრმავებული ინტერვიუები და სხვ.) ○ როგორც გამოიკვეთა პირდაპირი მეთოდებით სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან უნივერსიტეტი საყურადღებოდ მიიჩნევს მხოლოდ სტუდენტთა უარყოფით შეფასებას (F (ჩაიჭრა). აუცილებელია პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებული იყოს, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მაჩვენებელი, დადეგნილი შესაბამისი ზღვარით. უფრო დეტალურად კი, თუკი სტუდენტთა გარკვეული პროცენტულობა (დადგინდესზღვარი უნივერსიტეტის მხრიდან) შეფასების ხუთი დონიდან მუდმივად იღებს უმაღლეს შეფასებას (A (ფრიადი), მაშინ სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მარტივად მისაღწევად და ამდენად უნდა დადგეს საკითხის დამატებითი კვლევის საჭიროება. ○ პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასებებისათვის, გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარები. ○ აღსანიშნავია, რომ გეგმის მიხედვით განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშს, განიხილავს პროგრამის კომიტეტისა და დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა

კომიტეტის ერთობლივი სხდომა. ხდება წარმოდგენილი ანგარიშის გაანალიზება და რეკომენდაციათა გამომუშავება.

- უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების დაგეგმვით. მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, გაანალიზებასა და შესაბამის რეკომენდაციათა განსაზღვრას. თუმცა არ იკვეთება გაცემულ რეკომენდაციებზე შემდგომი რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული ან დაგეგმილი რეაგირებებიც.
- შესაბამისად, სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან რეაგირების ანგარიშში. ეს იქნება ერთგვარი განხორციელებული ცვლილებების ანგარიში, რაც მოგვცემს ინფორმაციას აღმოიფხვრა თუ არა ის ხარვეზები, რაც არსებობდა, განხორციელდა თუ არა რეკომენდაციები, პროგრამების თუ რესურსების განვითარების კუთხით დასმული ამოცანები შესრულდა თუ არა და სხვა.
- სამოქმედო გეგმის მიხედვით ხორციელდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხის კვლევა, სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტთა მიერ, სასწავლო კურსების თვითშეფასება ლექტორების მიერ, შედეგების ანალიზი და პროგრამის საერთო შეფასება, ხდება პროგრამის შედარება უცხოეთისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან.
- უნივერსიტეტი ახდენს დამსაქმებელთა გამოკითხვას, რომლის მიზანია პროგრამის შინაარსში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და პროგრამის გაუმჯობესება, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რაც დასტურდება წარმოდგენილი ანგარიშებითა და დამსაქმებლებთან ინტერვიუების პროცესით.
- პერიოდულად სტუდენტთა მხრიდან ხდება გამოკითხვის შესაბამისი ფორმების შევსება. აღნიშნული გამოკითხვით ხდება არა მარტო კურსის შინაარსის შესახებ ინფორმაციის მიღება, არამედ რესურსების და სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ მოსაზრებების დაფიქსირება. მონაცემთა შეგროვების შემდეგ ხდება ინფორმაციის დახარისხება და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად ყალიბდება რეკომენდაციები.
- პროგრამის განვითარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით განხორციელდა წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის პროგრამებთან დადარება. დადარების შედეგად დადგინდა მათი თანხვედრა (მსგავსება და განსხვავება) დაწესებულების პროგრამასთან მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების, სტრუქტურის, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესაბამისობის კუთხით. თითოეული კომპონენტის დადარების შედეგები წარმოდგენილი იყო თითოეული

კომპონენტის დასკვნაში, ხოლო მთლიანად პროგრამის თავსებადობის შედეგები აისახება შემაჯამებელ დასკვნაში. პროგრამებთან დადარებისთვის გამოყენებული იქნა სპეციალური ფორმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გეგმა ● ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი ● საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის ანგარიში ● „საგანმანათლბლო პროგრამების სტანდარტი“ ● „ხარისხის მართვის რეგლამენტი“ ● დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი ● აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები ● სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები ● აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ● აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: ○ რეკომენდირებულია, პირდაპირი მეთოდით სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებული იყოს, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მაჩვენებელი, დადეგნილი შესაბამისი ზღვარით. დადებითი მაჩვენებლის გამო სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება ჩაითვალოს ზედმეტად მარტივად მისაღწევად და დადგეს საკითხის დამატებითი კვლევის საჭიროება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ● სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან რეაგირების ანგარიშში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 49 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა მაჭარაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ფარსადანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო პატარაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნოდარ ხერხეულიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლიანა ზაგაშვილი